საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

# ბრძანება

3 12 2021 წ. №238 ქ. თბილისი

მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წლის პროექტის განვითარების
დაფინანსების კონკურსში მონაწილე პროექტთა დაფინანსების თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურო დებულების მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საექსპერტო კომისიის 2021 წლის 2 დეკემბრის #1 დასკვნის საფუძველზე, ვბრძანებ:

1.დაფინანსდეს მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წლის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსში (კონკურსი 2/7) მონაწილე შემდეგი პროექტები:

ა) „ლომის ახალი ფაფარი“ - პროდიუსერი - ი/მ „ანა ჩუბინიძე“, რეჟისორი- ანა ჩუბინიძე – 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით;

ბ) „ოჰ! დედა, დედა...“ - პროდიუსერი - შპს „გლაბერ“, რეჟისორი - ხათუნა ტატუაშვილი— 13 827,60 (ცამეტი ათას რვაას ოცდაშვიდი ლარი და 60 თეთრი) ლარი;

გ) „იფიქრე ნაკლები“- პროდიუსერი - ი/მ „ქეთევან ჯანელიძე“, რეჟისორი - ლევან ყუფარაძე – 12000 (თორმეტი ათასი) ლარით.

2. ბრძანების პირველ პუქტში განსაზღვრული პროდიუსერებისთვის თანხის გამოყოფა განხორციელდეს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრსა და პროდიუსერს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6)

დირექტორი გაგა ჩხეიძე